პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! სამშაბათი, 24 მარტი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 63 (751) 1 და 2 კავ. მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთ

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## 22 მარტს ტრაღიკულად დაიღუპენ ჰაეროპლანის „იუნკერსი-“ს ავარიის გამო ამხ. ამხ. მიასნიკოვი, ათარბეგოვი, მოგილევსკი და ორი მფრინავი საღარაძე და შპილი.



ამხ. მოგილევსკი. ამხ. მიასნიკოვი. ამხ. ათარბეგოვი.

## მთავრობისაგან

გუშინ 22 მარტს, დღის 12 საათზე და 10 წუთზე დიდუბის იპოდრომის ახლოს ტრაღიკულათ დაიღუპენ იუნკერსის ჰაეროპლანის ავარიის გამო:

ა.-კ სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა სოც. რესპუბლ. კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი,

**ალექსანდრე თედორეს-ძე მიასნიკოვი,**

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე

**სოლომონ გრიგორის-ძე მოგილევსკი**

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში

**გიორგი ალექსანდრეს ძე ათარბეგოვი**

და ამიერკავკასიის საავიაციო საზოგადოების ორი პილოტი ამხ. **შპილი და საღარაძე**

**ა.-კ. ს. ფ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.**

**საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი.**

**ა. კ. ს. ფ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.**

**ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.**

**ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს**

## დადგენილება.

**1925 წლის 23 მარტი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა და ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინეს:**

1. ა. კ. ს. ფ. ს. რ. მთელს ტერიტორიაზე ამხ. **მიასნიკოვის, ათარბეგოვის, მოგილევსკის** და მათთან დაღუპულ მფრინავების ამხ. **შპილის და საღარიძის** ტრაღიკულათ გარდაცვალების გამო, მთავრობის და საზოგადოებრივი დაწესებულებების და ორგანიზაციების ყველა შენობებზე 23-დან 25 მარტამდი **აღმართული იქნეს სამგლოვიარო დროშები.**

2. 23, 24 და 25 მარტი ა. კ. ს. ფ. ს. რ. მთელს ტერიტორიაზე გამოცხადებული იქნეს გლოვის დღეებათ.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ დღეებში ა. კ. ს. ფ. ს. რ. მთელს ტერიტორიაზე შეწყვეტილი იქნეს წარმოდგენების, კონცერტების და ყოველგვარი სხვა გასართობების მოწყობა.

4. დაარსებული იქნეს კომისია ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების **მიასნიკოვის, ათარბეგოვის, მოგილევსკის** და მფრინავების ამხ. **შპილის და საღარაძის** დასაფლავების მოსაწყობად; კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნული იქნეს ამხ. ქართველიშვილი და წევრებათ ამხ. ა. გეგეჭკორი, ა. შავერდოვი, ივანოვ-კავკასიელი, აბაშიძე, ყურულაშვილი, ასრიბეკოვი ს. იაკუბოვი და ხუმარიანი.

5. კომისიის ყველა განკარგულებები, რომლებიც დასაფლავების მოწყობასთან იქნება დაკავშირებული, სავალდებულოა ყველა დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის.

6. ეს დადგენილება ძალაში უნდა შევიდეს ტელეგრაფით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **შ. ხტურუა.**

ა. კ. ს. ფ. ს. რ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

**საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქ. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ფართე მასებს**

**რ. კ. პ. (ბ) ამიერ—კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის,**

**რ. კ. პ. ც. კ. წევრობის კანდიდატის,**

**ამ. კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის,**

**ს. ს. რ. კ. ც. ა. კ. პრეზიდიუმის წევრის და ს. ს. რ. კ. სამხედრო რევოლიუციონურ და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო საბჭოს წევრის ამხ. ალექსანდრე თედორეს-ძე**

**მიასნიკოვის**

**ტრაღიკული დაღუპვას.**

## სამი გმირის დაღუპვა.

მოულოდნელ საბედისწერო შემთხვევამ ტრაღიკულათ მოგვტაცა სამი საუკეთესო ხელმძღვანელი—ამხანაგები: **მიასნიკოვი, ათარბეგოვი და მოგილევსკი.**

ამ ამხანაგების ჩვენი რიგებიდან გამოთიშვა პარტიისათვის დიდ დანაკლისს შეადგენს, რადგან პარტიას ისეთი მომზადებული, ძველი წევრები, როგორც ამხ. ამხ. მიასნიკოვი, ათარბეგოვი და მოგილევსკი იყო ნაკლებად ყავს. და რასაკვირველია ასეთი ამხანაგების დაკარგვას პარტია ვერ ჩათვლის პატარა დანაკლისათ. აღნიშნული ამხანაგები ხელმძღვანელობდენ ამიერ—კავკასიის მასშტაბით პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო საქმეს მათი სახით კომუნისტურ პარტიამ დაკარგა ჯერ კიდევ ჯანით და ენერგიით სავსე, ზედმიწევნით სპეტაკი ამხანაგები. ისინი კიდევ ოცს და მეტ წლეებს შესძლებდენ დაუღალავ თავდადებულ რევოლიუციონურ მუშაობას მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

ვინ იყვენ ამხ. ამხ. მიასნიკოვი, ათარბეგოვი და მოგილევსკი? ჩვენ აქ მათ ვრცელ ბიოგრაფიას არ შევეხებით, ხოლო მოკლედ ვიტყვით ერთს:

ისინი იყვნენ ლენინის პარტიის საუკეთესო შვილები. ეს სამი ამხანაგი ჯერ კიდევ თვითმპყრობელობას ებრძოდენ თავგამოდებით; ხოლო შემდეგ კი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ სამოქალაქო ომებში და ხელმძღვანელობდენ რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლას.

თავისი გმირული მაგალითით ისინი მუდამ ამხნევებდენ და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიყავდათ მშრომელთა მასები.

ამხ. ამხ. მიასნიკოვის, ათარბეგოვის და მოგილევსკის სახით ჩვენ დავკარგეთ პარტიის უნიჭიერესი ძველი წევრები, სამოქალაქო ომებში გამობრძმედილი და გაფოლადებული ამხანაგები, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით პარტიას და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას დიდ სამსახურს გაუწევდენ.

რით შეგვიძლია დღეს ავანაზღაუროთ ეს დიდი დანაკლისი?

ცხადია, ჩვენი რიგების მეტი შემჭიდროებით და გაასკეცებული ენერგიით იმ საქმის გაგრძელება, რომელსაც მუდამ თავდადებით ემსახურებოდენ დაღუპული ამხანაგები.

მათ გარუჯულ ცხედრის წინაშე ჩვენ ვსდებთ მტკიცე კომუნისტურ ფიცს ის, რაც ლენინმა გვიანდერძა და რომლის გამარჯვებისათვის თავგანწირვით იბრძოდენ ეს ამხანაგები მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების და პროლეტარიატის საბოლოო განთავისუფლების საქმეს მივიყვანთ ბრწყინვალე დასასრულამდე.

თბილათ განისვენეთ ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი ხსოვნა მუდამ ცოცხალი იქნება კომუნისტურ პარტიის და მშრომელთა გულში. თქვენი გმირული ბრძოლა პროლეტარულ რევოლიუციის გასამტკიცებლად მუდამ საუკეთესო მაგალითი იქნება მოზარდ რევოლიუციონურ თაობისათვის. თქვენი დაწყებული საქმე საიმედო ხელშია —კომუნისტური პარტია ბრწყინვალედ დააგვირგვინებს მას.

ს. ლომიძე.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ა. კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საკავშირო-ცაკის, საკავშირო და წითელდროშოვან ჯარის სამხედრო-სარევოლიუციო საბჭოს წევრის ამხ.

**ა. ფ. მიასნიკოვის**

ა. კავკასიის მუშა-გლეხ-თა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილის და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ა. კ. რწმუნებულის ამხ.

**გ. ათარბეგოვის**

და ა. კ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ამხ.

**სოლ. მოგილევსკის**

ტრაღიკულად დაღუპვის გამო.

**საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომ კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქ. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ფართე მასებს**

**ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრის**

**ამხ. სოლომონ გრიგოლის ძე**

**მოგილევსკის**

**და**

**რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის წევრის, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილის და ს. ს. რ. ს. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ამიერ-კავკასიაში**

**გიორგი ალექსანდრეს ძე**

**ათარბეგოვის**

**ტრაღიკულათ დაღუპვას**

**დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.**

# კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული სხდომის გამო.

მოსკოვში გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გაფართოებული სხდომები, რომელზედაც ორასზე მეტი დელეგატები დაესწრო. კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ, რომელიც შესდგა გასული წლის ივლისის თვეში, ეს პირველი გაფართოებული სხდომაა აღმასკომის. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაში ბევრი მნიშვნელოვანი ამბები მოხდა.

მიუხედავათ იმისა, რომ მსოფლიო ბურჟუაზია და სოციალ—გამყიდველები ენერგიულად უტევენ მუშათა კლასს და იშვიათი სისასტიკით სდევნიან კომუნისტურ პარტიებს, მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა მაინც არ ნელდება, არამედ უფრო ძლიერდება.

ის მასიური მუშათა დემონსტრაციები და გაფიცვები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ ხანებში ბერლინში, პრაგაში, პარიზში საუკეთესო დამამტკიცებელია იმის როგორც ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ პროლეტარიატი „იწყებს ქუჩის დაპყრობას“. მუშათა მოძრაობის გაცხოველებასთან დიდ რევოლიუციონურ გარდატეხას ვხედავთ აგრეთვე გლეხთა მასებშიც. გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობა სამხრეთ-სლავიაში, პოლონეთში და ბალკანეთში დღითი დღე მატულობს, რაც ამტკიცებს მას, რომ პროლეტარული რევოლიუციის ახალი ტალღა თავის ფერხულში ითრევს მშრომელ მასების ფართე ფენებს. კომინტერნის პლენუმის ყურადღება აგრეთვე შეჩერდება აღმოსავლეთის ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობაზე, რომელმაც ამ ბოლო ხანებში ფართე ხასიათი მიიღო.

პლენუმი ჯამს გაუკეთებს აგრეთვე კომუნისტურ პარტიების ბოლშევიზაციის საქმეს. ამ მხრივ მართლადაც დიდი მიღწევებია. გმირული ბრძოლა საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების კომუნისტებისა საუკეთესო მტკიცებაა იმის, თუ როგორი ნაყოფიერებით მიიწევს წინ ევროპის კომპარტიების ბოლშევიზაცია. ბურჟუაზიამ და სოციალ-შემთანხმებლებმა უმაგალითო თეთრი ტერორი გააჩაღეს კომუნისტების წინაამდეგ.

მაგალითად ბულგარეთის ფაშისტური მთავრობამ დაისახა ყველა კომუნისტების ფიზიკური განადგურება.

მაგრამ ამით მუშათა მტრები ხელს უწყობენ კომპარტიის რიგების გაკაჟებას და მისი ავტორიტეტის ზრდას პროლეტარულ მასებში.

პლენუმი აგრეთვე განიხილავს პროფმოძრაობის გაერთიანების საკითხს. ის გარდატეხა რომელსაც ადგილი აქვს ფართო მუშათა მასებში საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების სასარგებლოთ, მოითხოვს გადამჭრელ ნაბიჯებს კომინტერნისაგან, რომ მიღწეულ იქმნას მუშათა მთლიანი ფრონტი.

ერთგული ლენინის ანდერძებისა კომინტერნი, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც სათანადოთ ამოსწურავს ყველა ამ საკითხებს და მტკიცეთ წაიყვანს წინ მსოფლიო რევოლიუციის საქმეს.

—ე.

კომინტერნი-განაცხადა მან კვლავ აქცევს მთელ თავის ყურადღებას აღმოსავლეთის საკითხებს.

ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ყოველგან უტევენ კომპარტიას.

მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებებისა და დევნისა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში დაჰქროლა ცოცხალმა სიომ.

კომუნისტების გმირული ქცევა პატივისცემის ღირსია.

ბულგარეთის ბურჟუაზია სცდილობს პროლეტარიატის ფიზიკურად განადგურებას. ესტონეთში ბურჟუაზიამ გაუგონარი სისხლის ტბა დააყენა. მიუხედავად ტერორისა გერმანიაში, იტალიაში და სკანდინავიაში მიდის მასიური მოძრაობა. ბურჟუაზია ყოველგან გადადის შეტევაზე, პროლეტარიატი თავდაცვითი ბრძოლას აწარმოებს.

პარიზში, ბერლინში, პრაგაში შემჩნეულია უკანასკნელ დღეებში მასიური დემონსტრაციები, რაც მოასწავებს პროლეტარიატის ბრძოლის დასაწყისს ქუჩის დასაპყრობად. გაფართოებული პლენუმი დაწვრილებით გაარჩევს დეპულებას ეროვნულ სექციების შესახებ.

ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ამაოდ ზეიმობს, დაიმედებული, რომ განხეთქილება მოხდება ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაში. განხეთქილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მლთიანობა უზრუნველყოფილია ჩვენ ვრჩებით ბოლშევიკებად და რამდენადაც რთული და ძნელია საერთაშორისო მდგომარეობა, იმდენად უფრო შეკავშირებული ვიბრძოლებთ ჩვენ ლენინის გზით.

(მქუხარე ტაში).

# ახალ რადიო-ამბები

## ბურჟუაზიულ სასამართლოში.

### ინგლისელ ვექილთა თხოვნა.

ინგლისის დეპუტატების ერთმა ჯგუფმა მიმართა ლონდონში მყოფ პოლონეთის საელჩოს თხოვნით დაუშვან ისინი დამცველებად ლანცუცკის პროცესზე (გასამართლებაზე).

### სადულის გასამართლება.

საფრანგეთის კომუნისტის, ამხ. სადულის გასამართლება დაიწყება სამხედრო სასამართლოში 31 მარტს. ბრალმდებელთა მხრივ მოწვეულია 20 მოწმე, მათ რიცხვში ნულანსიც.

### რაში ედება ბრალი რადიჩს.

ზაგრების პროკურატურამ შეადგინა საბრალმდებლო ოქმი რადიჩისა და სხვათა წინაამდეგ. რადიჩს ბრალი ედება სახელმწიფოს ღალატში, გლეხინტერნთან ურთიერთობაში, სამხედრო წრეების გახრწნაში, მაკედონიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან კავშირში და სხვა.

# კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

21 მარტს მოსკოვის კრემლში გაიხსნა კომინტერნის გაფართოებული პლენუმი. დაესწრო 214 დელეგატი, აქედან გადამჭრელი ხმის უფლებით—104.

## ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

პლენუმი გახსნა ამხ. ზინოვიევმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა ამხ. ნარიმანოვისა და სუნ-იატ-სენის ხსოვნა.

მან დაახასიათა ამ ორი პიროვნების მნიშვნელობა აღმოსავლეთში.

## პრეზიდიუმის არჩევნები.

კომინტერნის პლენუმის პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. ამხ. ზინოვიევი, ბუხარინი, სტალინი (საბჭ. კავშ.), სემასი და კაშენი (საფრანგეთი), ვინტერიხი და გეშკე (გერმანია), დორიო და სანბორა (ამერიკა), ლარკინი (ირლანდია), ვიოლა (იტალია), გაკენი და ზაპატოცკი (ჩეხო-სლოვაკია), გალახერი (ინგლისი), [illegible]როი (ინდოეთი), კოლაროვი (ბალკანეთი), ნანსენი (სკანდინავია) და კლარა ცეტკინი.

## პლენუმის დღისწესრიგი:

მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეობაზე, კომინტერნის უახლოეს ამოცანებსა და პარტიის ბოლშევიზაციაზე (ზინოვიევი). მომხსენებლები სექციის სახელით: გერმანია—ფიშერი, საფრანგეთი—ტრენი და სიუზანა ჟირო, იტალია—ოკოჩიმარო. ჩეხო—სლოვაკია-გრიუსსა. მომხსენებელი ახკომინტერნიდან—ბუივიჩი. კამპანია პროფკავშირთა მთლიანობისათვის (ლოზოვსკი), მომხსენებლები სექციებიდან: გერმანია—გეშკე, საფრანგეთი სებარი, ჩეხო-სლოვაკია—ხარუსი, იტალია—ვიოლა, პოლონეთი—ბრონევიჩი, ინგლისი—გალახერი. გლეხთა საკითხი, საერთო მდგომარეობის განხილვა—ბუხარინი, გლეხთა მოძრაობის შესახებ სხვა და სხვა ქვეყნებში: გერმანია—კაც, საფრანგეთი კაშენი, იტალია—გრიეკსი, ჩეხო-სლოვაკია—ვოდნერი, ბალკანეთი—ბოშკოვიჩი.

დისკუსია რკპ ში—ბუხარინი.

საინფორმაციო მოხსენება ლენინის ინსტიტუტის შესახებ—კამენევი. მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტის შესახებ—როზანოვი.

ილაპარაკეს სექციების წარმომადგენლებმა ანზელტმა, გეშკემ, მარხოვსკიმ, მარეკმა, ხარუსმა და სხვებმა.

## ამხ. ლანცუცკის გასამართლება.

პოლონეთის სეიმმა ხელმეორედ მისცა სამართალში კომუნისტი დეპუტატი ლანცუცკი, რომელსაც ბრალს სდებს აჯანყებისკენ მოწოდებაში და სხვა.

## ჯაშუში მოწმეები.

22 მარტს დაკითხულ იქნა 7 მოწმე, ამათგან 5 კაცი „ოხრანკის“ წევრია, ორი დანარჩენი—პოლიტიკური პოლიციის მდივანი და „ოხრანკის“ მიერ შემთხვევით მოწვეული ინვალიდი—მუშა.

გამოირკვა, რომ მთავარი მოწმე პავლოვსკი არ ყოფილა კრებაზე, სადაც თითქოს გამოსულა ლანცუცკი; მას თავისი მოხსენება დაუწერია თავისი რწმუნებულის, ვოზვიშინის სიტყვებიდან, რომელიც თურმე 17 წლიდან ეწევა ჯაშუშობას.

მოწმე ხრანეცკი უარს ამბობს ჩვენებაზე და როგორც გამოირკვა წინა ჩვენება მას მიუცია ძალდატანებით.

პროკურორი ჯაშუშ-მოწმეების საშუალებით სცდილობს ჩირქი მოსცხოს ბრალდებულს და აცხადებს, რომ ლანცუცკი სცხოვრობს მდიდრულად თავის ბინაზე. დამცველებმა მოითხოვეს სანდო პირების არჩევა ლანცუცკის ბინის დასათვალიერებლად.

როგორც გამოირკვა ლანცუცკი სცხოვრობდა თურმე არა მდიდრულად, არამედ ღარიბულად მოწყობილ ბინაზე მუშათა უბანში.

გამოძიება გაგრძელდება ორშაბათს. სამშაბათს ან ოთხშაბათს პროცესი დასრულდება.

# ამხ. ნარიმანოვის დასაფლავება.

22 მარტს 11 საათზე ცხედარზე გადაფარებულ იქნა აზ. რესპუმის დროშა წარწერით: „შენი სახელი გზის მაჩვენებელი იქნება აღმოსავლეთის ჩაგრულთათვის“.

დარბაზი თანდათან ივსება სხვა და სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

12 საათზე კუბო გამოაქვს ამხ. კალინინს, ენუქიძეს, რუდზუტაკს, კისელიოვს, ტერ-გაბრიელიანს, როგოვსა და სხვებს. კუბოს ათავსებენ ლაფეტზე. აკლდამაზე ადიან კალინინი, ენუქიძე, სკრიპნიკი, ცხაკაია, რუდზუტაკი და სხვ. სიტყვას ამბობენ ამხ. ამხ. კალინინი, კამენევი, ცხაკაია, სამორი, სკრიპნიკი, ისლამოვი.

1-ლ საათზე კუბოს უშვებენ სამარეში ზარბაზნების სალიუტით. სამარე შემკობილ იქნა აუარება გვირგვინებით და ცოცხალი ყვავილებით.

# კელლოგი საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა.

ამერიკის პრესამ დროებით შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხის განხილვა.

ამერიკის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი კელლოგიც თავს იკავებს პრესის წარმომადგენლებთან საუბრისაგან.

მაგრამ მიუხედავად ოფიციალური წრეების დუმილისა, არის საბუთი ვიფიქროდ, რომ კელლოგი დაბრუნდა ლონდონიდან განსაკუთრებული შეხედულებით, რომ აუცილებლად უნდა იქნას ცნობილი საბჭოთა კავშირი.

თუმცა საქმესთან გაცნობილი წრეები წინასწარმეტყველებენ მოლაპარაკების ჩქარა დაწყებას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ოფიციალური ცნობა ამ საკითხის შესახებ გადადებულ იქნება რამოდენიმე თვით.

# ალბანეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულება.

იტალიის მთავრობამ მიაღწია ხელსაყრელ შეთანხმებას ალბანეთის ნავთის საკითხში.

იტალია—ალბანეთის სავაჭრო ხელშეკრულება მოკლე ხანში შევა ძალაში.

# მათში რომ სიბრალული იყოს, ჯალათებიც არ იქნებიან.

კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა პრუსიის ლანდტაგში წინადადება, რათა მიეცეს დახმარება გალლში დაღუპულ მუშათა ოჯახებს და დასჯილ იქნან დამნაშავენი მათ დახვრეტაში.

ლანდტაგმა დიდი ხმის უმეტესობით კომუნისტებს წინაამდეგ უარყო ეს წინადადება.

# ინგლისის პრესა კერზონის გარდაცვალების შესახებ.

ინგლისის პრესა უმეტეს ნაწილად დასტირის კერზონს, როგორც დაკარგულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეს და „საღი გონების არისტოკრატს“, რომლის ტიპები თანდათან მცირობიან ევროპაში.

„მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს კერზონის მედიდურობას და ამბობს: „არავის დაავიწყდება მისი მოქმედება საბჭოთა მთავრობის მიმართ. ვინც კი ილტვოდა ევროპის მშვიდობიანობისაკენ, თავისუფლათ ამოისუნთქეს როცა გაიგეს, რომ კერზონი აღარ დაუბრუნდება საგარეო საქმეთა სამინისტროს“.

# მუშათა პარტიის „წრფელი თანაგრძნობა“.

თემთა პალატის სხდომაზე ოპოზიციის სახელით ტომასმა განაცხადა, რომ ის თავის მოვალეობად სთვლის გამოუცხადოს პრემიერსა და მის თანამოღვაწეებს წრფელი თანაგრძნობა „ნიჭიერი და ლოიალურ თანამოღვაწის, კერზონის გარდაცვალების გამო“.

„ინგლისმა—განაცხადა ტომასმა—დაჰკარგა უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე“

# პოლიტის მოტაცების გარშემო.

პოლიციამ დააპატიმრა მეხუთე მონაწილე პოლიტის მოტაცებაში, ჰენრი როლლანდსონი, რომელიც გაშვებულ იქნა თავდებობის ქვეშ 3 აპრილამდე.

# პარტიული ცხოვრება.

## „ევკოგრუზი“-ს ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედი.

20 მარტს, „ევკოგრუზი“-ს კანტორაში შესდგა, ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედის და მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელზედაც დაესწრენ თანამშრომლების დიდი უმრავლესობა.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ს. ს. ს. რ. ქიმიური თავდაცვის და მრეწველობის მეგობართა საზოგადოების დაარსების და მისი მნიშვნელობის შესახებ.

2. მოხსენება დივიზიის „რემედასი“-ს კომიტეტის მუშაობის შესახებ.

3. მოხსენება „ევკოგრუზი“-ს „რემედასი“-ს მუშაობის გარშემო და

4. მოხსენება ადგილკომის და მისი სარევიზიო კომისიის ერთი თვის მუშაობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა მეორე დივიზიის ქიმიურ თავდაცვის უფროსმა ამხ. გამრეკლიძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა მეგობართა საზოგადოების მნიშვნელობა, ბურჟუაზიულ ქვეყნების ქიმიური სამზადისი, ქიმიური ომის ისტორია, ქიმთავდასხმა და ქიმთავდაცვა.

ამასთანავე ამხ. შეეხო საბჭოთა ქვეყნების ინტერესს აღნიშნულ საზოგადოებისადმი, როგორც სამხედრო ისე სასოფლო-სამეურნეო მიზნით.

ბოლოს ამხანაგმა გააცნო კრებას ცარიცინის გუბერნიაში ქიმიური საზოგადოების გმირული ბრძოლა კალიების წინააღმდეგ.

კრებამ ერთხმად დაადგინა რომ ყველა ჩაეწეროს საზოგადოების წევრებად. არჩეული იქნა ქიმმოყვარეთა საზოგადოების ბიურო შემდეგი ამხანაგებისაგან.

1. ა. კალანდაძე, 2. კოზმავა და 3. ონისიმოვი.

მეორე საკითხი გააშუქა დივიზიის „რემედასი“-ს კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ს. ბახტაძემ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა კომიტეტის მუშაობა. ამხანაგის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დივიზიაში სულ ითვლება დაახლოებით 3.183 წევრამდე, რომლებსაც დღემდე შეუტანიათ 541 მან. ამხ. ეხება რა კომიტეტის მუშაობას და მის კავშირს ნაწილებთან აღნიშნავს, საზანაკო პერიოდში ნაწილებთან კავშირი მოუსუსტებდა, ხოლო დღეს ამ მხრივ მუშაობა კარგად არის დაყენებული. მოხსენების და შეკითხვების შემდეგ, კრებამ კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

„ევკოგრუზი“-ს „რემედასი“-ს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბობროვი და აღნიშნა, რომ კანტორაში საზოგადოების წევრებად ითვლებიან 56 კაცი. საწევრო გადასახადებიდან სულ შემოვიდა 51 მან. 50 კაპ.

რწმუნებულის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და აირჩია სამი ამხანაგებისაგან შემდგარი ბიურო.

ადგილკომისა და სხვა და სხვა კომისიებს მუშაობის შესახებ მოკლე ანგარიში წაუყენა კრებას ამხ. ა. კალანდაძემ.

სარევიზიო კომისის სახელით ამხ. მელაძემ დაადასტურა ადგილკომის მოხსენება და თან დასძინა, რომ შედარებით გასულ თვეებთან მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყო.

რის შემდეგ კრებამ თავის რეზოლიუციაში დამაკმაყოფილებლად სცნო ადგილკომის მუშაობა.

პარტკორი ელიზბარი.

## საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედი.

21 მარტს საგაუბიცო ბატარეიაში მოხდა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც მთელი ბატარეის შემადგენლობა და განმეორებითი კურსების წარმომადგენლებიც დაესწრენ.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

წარსული კრების ოქმის დამტკიცება; საკავშირო ცაკის მესამე სესიის მუშაობა; ინფორმაციული მოხსენება გაზეთებიდან და სხვა.

სესიის მნიშვნელობასა და მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გამახურდიამ. როგორც ამხ. აგვიხსნა, სესიის ამიერ-კავკასიაში მოწვევას ის მნიშვნელობა ქონდა, რომ ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს მშრომელები თავისი თვალით დარწმუნდენ თუ რას აკეთებს საბჭოთა მთავრობა მთელი დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და როგორ ყურადღებას აქცევს ის კავშირში შემავალ სხვა და სხვა ერებს. მოხსენების გარშემო კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

კვირეული ცნობების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლეჟავა და მკაფიოდ განმარტა თუ რა მოხდა ახალი საბჭოთა მთავრობასა და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის დამოკიდებულებაში.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის.

### საკავშიროებში.

21 მარტს პირველი დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულში შესდგა ამავე ასეულის ახკომკავშირელთა უჯრედის ღია კრება. დაესწრენ უპარტიო წითელ-არმიელების უმრავლესობა.

კრებამ მოისმინა ამხ. ლომთათიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელმაც დაწვრილებით გაგვაცნო საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოთ იაპონიასა და ჩინეთთან.

ამხ. ვრცლად შეეხო აგრეთვე ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობას, მის ბელადს სუნ-იატ-სენს და მის სიმპატიებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისადმი.

შემდეგ მმოხსენებელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ-გამარჯვებებს გარეშე და შინაურ სამეურნეო და პოლიტიკურ ფრონტებზე.

ამხ. თანამომხსენებელი შეეხო დასავლეთის ქვეყნების ჩვენთან ურთიერთობას. განსაკუთრებით შეჩერდა პოლონეთზე და ლანცუცკის გასამართლებაზე.

იყო მრავალი შეკითხვები, საერთოდ მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო.

ბოლოს კრებამ აირჩია ჩვენი უჯრედის წარმომადგენლები მუშფაკის უჯრედში გასაგზავნათ.

შემდეგი კრებისთვის დაევალა ყველა უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგებს წარმოადგინონ ვრცელი ანგარიშები მათი საქმიანობის შესახებ.

სამხკორი შალაშინი.



## ამხ. კუზნეცოვი გამარჯვებულ ბატარეელებთან.

12 მარტია. თავისუფალი ვართ. ვიგონებთ ნიკოლოზის დამხობას. კურსანტები აქა-იქ გაბნეულან სკოლის ეზოში და თბილი მზის სხივებით უხვად სტკბებიან. იშვიათი დღეა..

მდინარე ვერის ხეობა ამწვანებულა. დღეს პირველად დავინახეთ სურნელოვანი ია,-გაზაფხულის ეს პირველი მერცხალი.

— ამხანაგებო! იცით რა გითხრათ—გახარებული გაიძახის ერთი კურსანტი...

— დღეს ჩვენთან მოდის არმიის შტაბის უფროსი, ამხ. კუზნეცოვი. ამბობენ უფროს კურსანტებთან გააკეთებს მოხსენებასო.

— ბიჭებო, დღეს საარტილერიო კურსელები დგამენ დილას—გაიძახის მეორე და მოუწოდებს ამხანაგებს სამზადისისაკენ.

აგერ გამოჩნდა მებუკე (სიგნალისტი), რომელმაც გვაცნობა შეიკრიბეთო.

სკოლის კლუბი აივსო კურსანტებით. დიდი სივიწროვეა. „მოდიან, მოდიან“, გაისმა დარბაზში. მკვდარი სიჩუმეა. აგერ გამოჩნდენ ამხ. კუზნეცოვი, სკოლის უფროსი გედევანიშვილი და სამხკომი ამხ. ჭკუასელი.

ამხ. კუზნეცოვმა თავისი მოხსენება დაიწყო გარკვევით. შეეხო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სამხედრო სამზადისს, მოიყვანა სტატისტიკური ცნობები მათი შეიარაღების შესახებ და სხვა.

მოხსენება ძლიერ საინტერესო იყო.

შემდეგ გაიმართა დილა, რომელსაც დაესწრო ამხ. კუზნეცოვიც. დღეს ამხ. კუზნეცოვი ბატარეის ჯილდოში დაარიგებს სროლის შეჯიბრის დროს მიღებულ პრიზებს... ჯილდოს დღიური ხმალ ამოღებული ამაყად სდგას ქვემეხებთან.

... ერთი ... ორი ... სამი-ი-ი. ორად მოეწყვეთ. მოვიდა ჯილდოში სკოლის ბატარეია. ბატარეის უფროსი იძლევა სხვა განკარგულებებსაც. მუსიკამ თავის ადგილი დაიკავა...

ამხ. კუზნეცოვის მისალმება დაიფარა კურსანტების მწყობრი გაუმარჯოთი.

პირველ ქვემეხთან სდგანან ის კურსანტები, რომლებსაც ეკუთვნით პრიზი. ამხ. კუზნეცოვმა სათითაოდ გამოიძახა ისინი და დაურიგა საჩუქრები.

ბატარეის უფროსი ამხ. ლ. ქარუმიძე ესალმება კურსანტებს, უსურვებს მათ უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებას.

ასე ჩატარდა ჩვენთან 12 მარტი.

სამხკორი ჭ. ასათიანი.

## ჩვენი საქმიანობა გორჩალოს მშრომელებში.

13 მარტს ქალ. ლიუქსემბურგში შესდგა ცვალებად შემადგენლობის წვევამდელების, 6-სე ლეგ. მე-6-სე ასეულის კადრ-წითელ-არმიელების, უფპოლიტ-შემადგენლობის გაერთიანებული კრება, მაზრის პარტიულ-საბჭოთა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. კრებას დაესწრო 300-ზე მეტი კაცი.

დღიური წესრიგი იყო:

1. საერთაშორისო მდგომარეობა: 2. ტერ-სისტემის ორგანიზაციული და პრაქტიკული მხარეები; 3. დელეგატების არჩევა ლეგიონის კონფერენციისათვის და 4. ორგანიზაციული კავშირის აღდგენა ცვალებად-შემადგენლობასთან.

პოლიტხელების არჩევა ცვალებად-შემადგენლობის შორის მეცადინეობის საწარმოებლად.

კრება გაიხსნა ინტერნაციონალით; მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: მე-6 სე ლეგიონის, სამ-პარტკომის, ა. ლ. კ. კავშირის, პროფ-ბიუროს, და ცვალებად-შემადგენლობის წარმომადგენლებმა.

ცვალებად-შემადგენლობიდან გაიძახოდენ: „იაშასუნ კირგიზი ორდი, იაშასუნ იაშასუნ-ო. შემდეგ კრება გადავიდა დღიურ წესრიგზე.

### სალამი კომუნისტურ პარტიას.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებას აკეთებს სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი, ამხ. ალი-ტაგი-ზადე...

მომხსენებელმა ვრცლათ დაახასიათა ს. ს. რ. კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობა. ამხ. გააცნო კრებას ის, რომ კომინტერნის მიერ აღებული ხაზი როგორც შინაურ აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში სწორია. რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

### ტერიტორიალური სისტემა წითელი არმიის საიმედო ფორმაა.

ტერ-სისტემის და ცვალებად შემადგენლობასთან კავშირის აღდგენის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგოლიამ. ამხ. ვრცლად დაახასიათა ტერიტორიალური სისტემის ორგანიზაციული და პრაქტიკული მხარეები და მასთანვე ცვალებად შემადგენლობასთან კავშირის აღდგენის საკითხსაც შეეხო დაწვრილებით. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია სადაც ის ესალმება ტერ-სისტემის შემოღებას საბჭოთა კავშირში, როგორც წითელი არმიის მუდმივ და საიმედო ფორმას.

მოხსენების შემდეგ კრებამ ლეგიონის კონფერენციისათვის აირჩია დელეგატებათ შემდეგი ამხანაგები: ისა-ასტან-ოღლი; კრომერ ვილგელმი; ისმაილ-კიაზიმ-ოღლი და ბასტალანაშვილი

ამასთანავე ცვალებად შემადგენლობასთან მეცადინეობის საწარმოებლად გამოყოფილი იქნენ პოლიტ-ხელები.

გაერთიანებულმა კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა აგრეთვე ამხ. ამხ. ს. ორჯონიკიძეს, რატნეკს და მარქაროვს. რის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

სამხკორი ლ. კოტიანეთელი.

## პირველ არტლეგიონის მესამე ბატარეის ცხოვრებიდან.

ჩვენს ბატარეიაში წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არმიელები ძლიერ ცოტა არიან. მათთან სისტემატიურად სწარმოებს წერა-კითხვაში მეცადინეობა. ესენიც უმეტესად გერმანელებია.

მეთაურებსა და არმიელებს შორის ძლიერ კარგი განწყობილებაა. განსაკუთრებით კარგ დამოკიდებულებაში ვართ ახალ წითელ მეთაურებთან.

პოლიტიკური მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. წითელ-არმიელთა მთელი შემადგენლობა ცოდნის და მიხედვით დანაწილებული არიან ჯგუფებად. გერმანელებთან პოლიტ-საუბრები მიმდინარეობს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართული არ იციან.

წითელ კუთხეებში სალამოობით ტარდება ხმამაღალი კითხვა. გამოდის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი. პარიზის კომუნის დღისათვის გამოშვებული იქნა საგანგებო ნომერი, რომელშიაც ფართო მონაწილეობა მიიღეს წითელ არმიელებმა და ბატარეიაზე მომაგრებულ ქარხნის მუშებმა.

წრეებში მეცადინეობა კი სწარმოებს საერთო მასშტაბით, სადაც ჩვენი ბატარეის არმიელები დიდ აქტივობას იჩენენ განსაკუთრებით საკლუბო მუშაობაში.

მ. ცქიფურიშვილი.

## სინათლე სისტემატიურად უნდა მოგვეცეს.

საარტილერიო ლეგიონის და რუსულ მძიმე დივიზიონის ყაზარმებს აძლევს სინათლეს ერთი ელექტრო-სადგური. სამწუხაროდ ეს სადგური სავსებით ვერ ასრულებს თავის მოვალეობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც სინათლე არ გვაქვს მთელი ღამეებით, ეს დიდ არევ-დარევას იწვევს ნაწილებში, რადგან ისინი სრულიად დანდობილი არიან სადგურის მუშაობაზე და ნაწილებში არ მოიპოება არც ერთი სანათური, რომელსაც შეეძლოს ელექტრონის მაგიერობა გასწიოს ყაზარმებში.

ხშირად სრულიად მოულოდნელად ქრება სინათლე და იძულებული ვხდებით შევწყვიტოთ წარმოდგენები კრებები და სხვა.

ნუ თუ სადგურს არ შეუძლია ყურადღება მიაქციოს ასეთ შემთხვევებს და გაასწოროს ხაზი ან სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები?

იმედია ჩვენი კომენდანტიც მიაქცევს სათანადო ყურადღებას ამ გარემოებას და გამოსწორდება ეს.

სამხედრო ლ—ო.

## პარიზის კომუნის დღის აღსანიშნავი საღამო.

6-ს ლეგიონის კლუბის დარბაზში საღამოს დაწყებამდე კერძო პირების თანდასწრებით გაიმართა ლეგიონის სრული შემადგენლობის საზეიმო სხდომა. შემოგვემატენ კავშირდაჭერილ ორგანიზაციიდან წყალსადენის მუშების წარმომადგენლებიც. სხდომის მოწვევის მნიშვნელობის განმარტებისა და მისასალმებელი სიტყვების შემდეგ წამოყენებულ იქნა დღის წესრიგში:

1) მოხსენება დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ და საღამოს ჩასატარებელი გეგმა. დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჭ ნტურიშვილმა, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა პარიზში კომუნის გამოცხადების მიზეზები, კომუნარების საქმიანობა და მიღწევები და სხვა.

თანამომხსენებლათ გამოვიდენ უმრავლესობა წითელარმიელების რიგებიდან. მოხსენების გარშემო გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც მთელი შემადგენლობა იგონებს პარიზში დაღუპულ კომუნის გმირებს და უსურვებს მათ მიერ დასახულ მიზნებს უახლოეს ხანში საბოლოოთ განმტკიცებას. დასასრულ წითელ-არმიელთა მიერ დადგმულ იქნა რევოლიუციონური ინსცენიროვკა „პარიზის კომუნა“.

მოქმედება, სათანადო ილუსტრაციასთან დაკავშირებით ძლიერ კარგათ იქნა შესრულებული და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეთა შორის.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ლიტერატურული გასამართლება.

ქართულ მეთაურთა სკოლაში 21 მარტს კომკავშირელთა უჯრედმა მოაწყო ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებული იქნა კომკავშირელი, როგორც ძველი რაინდული ზნეჩვეულების მატარებელი.

წინასწარ უჯრედის მდივანმა ამხ. ჭავჭანიძემ ფართოდ გააცნო ამხანაგებს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ასეთ გასამართლებას კომკავშირის აღმზრდელობითი მუშაობაში.

სასამართლომ განიხილა ბრალდებულ კომკავშირელ ახალაშვილის საქმე, რომელიც ითვლებოდა კავშირის წევრად 1922 წ. ღარიბი გლეხის შვილი. მას ბრალი ედებოდა შემდეგში: 1) როგორც ძველი რაინდული ზნეჩვეულების მატარებელი, 2) როგორც კარიერისტი და 3) როგორც ლოთი. ბრალმდებლებმა აღნიშნეს ყველა ესენი და მოითხოვდენ სასამართლოდან ბრალდებულისათვის სათანადო სასჯელის მისჯას.

ილაპარაკეს დამცველებმაც, რომლებიც ძლიერ სუსტი გამოდგენ.

სასამართლომ კავშირის წევრს ახალაშვილს გამოუტანა შემდეგი განაჩენი:

„ახალაშვილი, როგორც გამოუსადეგარი და უვარგისი წევრი კავშირისათვის იქნეს გამორიცხული მის რიგებიდან. საზოგადოება სრულიად დააკმაყოფილა განაჩენმა.

საჭიროა ასეთი გასამართლებები სისტემატიურად იმართებოდეს კავშირის უჯრედის მიერ, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ახკორი მ. ბუსკაძე.

## უცხოეთის არმიებში.

### საფრანგეთის არმია.

ინგლისური გაზეთის „დეილი-ტელეგრაფის“ ცნობით ახალი რეფორმის მიხედვით საფრანგეთის არმია შესდგება 33,474 ოფიცრისა და 65.1984 ჯარისკაცისაგან.

ეს არმია შემდეგნაირად იქნება განაწილებული: საფრანგეთი, ალჟირი, ტუნისი—26,371 ოფიცერი და 425,411 ჯარისკაცი; მაროკო—2,165 ოფიცერი და 64,615 ჯარისკაცი. აზიის კოლონიები—980 ოფიცერი და 25,040 ჯარისკაცი: ჩინეთი—44 ოფიცერი და 1,668 ჯარისკაცი; სირია—153 ოფიცერი და 4,680 ჯარის კაცი; სამხედრო კომისიები—79 ოფიცერი და 195 ჯარისკაცი; რურში და საარის აუზში—3.682 ოფიცერი და 103,390 ჯარისკაცი.

### სამარი კოშკები სამხედრო გემებზე.

სამარი საზღვაო ფლოტის ახალი იდეებით, დამზადებასთან ერთად, გაცხარებული კამათი იყო სამარი კოშკებისა და მათზე მოსათავსებელ მძიმე იარაღების რიცხვის შესახებ. ინგლისის საადმირალო დიდხანს ეწინააღმდეგებოდა სამი სამარი კოშკის შემოღებას. მაგრამ რადგანაც სამ იარაღიანი ძლიერ აადვილებს სროლას ამიტომ ინგლისის საადმირალო როგორც იქნა დასთანხმდა სამი იარაღიანი კოშკების შემოღებაზე.

ამ ჟამად აპირებენ აგრეთვე ოთხ იარაღიან სომარ კოშკების აგებასაც. უცხოეთის პრესაში დარწმუნებით ლაპარაკობენ ორ კოშკიან მსუბუქ კრეისერის დამზადების შესახებ. თითეულ კოშკზე მოთავსებული იქნება ორ-ორი 202,4 კალიბრიან მძიმე იარაღები და ორი კოშკიც ოთხი შორს მსროლელ ზარბაზნებით.

### ინდოეთის შეიარაღებული ძალები.

ინდოეთის დამხმარე სამხედრო ძალები ევროპიელებისაგან შესდგებოდა 37.000 კაცამდე. ეს ძალები გადახალისებული იქნა 1920 წელს.

ამ ჯარების რიცხვში შედიოდა 12 ცხენოსანი პოლკი და 30-ამდე სხვა და სხვა ტექნიკური და დამხმარე ნაწილები (სანიტარული, მომარაგება და სხვა).

ამას გარდა ბრიტანეთის ინდოეთში არიან აგრეთვე ახალი ტერიტორიალური ჯარები, ადგილობრივი ნაწილებისაგან შემდგარი. ამ შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სამოსწავლო კორპუსები ინდოეთის სხვა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებთან.

ეს სამოსწავლო კორპუსები თითქმის ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ოფიცერთა სამოსწავლო კორპუსები და ომიანობის დროს იყენებენ მათ ახალი ნაწილების შესადგენად.

## ამბები სოფლებიდან

### წყლით მამოძრავებელი სადგური აჭარის წყალზე.

აჭარის წყალზე ჰიდრო ელ. სადგურის ასაშენებლად აჭარის სახკომსაბჭომ აირჩია საამშენებლო კომისია.

### გლეხების შუამდგომლობა.

სოფ. ოსიაურის (გორის მაზრა) ქვემო უბნის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამ. აღმასკომის წინაშე ახალ ადგილზე გადასახლების შესახებ.

### გლეხკომების მაღაზიები.

გორის აღმასკომმა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ადგილობრივი გლეხკომის მაღაზიის დახურვა, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივ კოოპერატივს.

### საექიმო დახმარება ჯავახეთში.

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა მიიღო დადგენილება მაზრაში საექიმო დახმარების ქსელის გაფართოების შესახებ.

### საზაფხულო კლუბი გორში.

გორის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს და მოაწყოს თოვლის მიერ დანგრეული საზაფხულო კლუბი.

### მეფუტკრეობა ჯავახეთში.

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება ჯავახეთის მეფუტკრეთა საზოგადოება „მეგუ“-ს.

### მებამბეობა მაზრებში.

მიწად მოქ. კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს ბორჩალოს, ქუთაისის, ტფილისის და სენაკის მაზრებში 32 საჩვენებელი ნაკვეთი მებამბეობის დარგში.

## ახალი ამბები.

— **მუშათა ბინებ ს აღმშენებლობა.** მუშათა ბინების აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ქალაქ ს აღმასკომს, დააჩქაროს საბინაო მიზნობრივი გადასახადის მოგროვება.

— **საქართველოს ადმინისტრატიული რუქა** უკვე გამოსცა შინაგან საქმ. სახ. კომისარიატმა 10 ვერსის მასშტაბით. რუქა მაზრებს დაურიგდებათ უფასოთ.

— **არტელების აღრიცხვა.** ამ ჟამად სწარმოებს სოც. უზრ. ყოფის კომისარიატის მიერ ყველა სახის არტელების ხელახალი აღრიცხვა.

— **განათლების ფრონტზე.** განათლების კომისარიატმ დაადგინა ახლო ხანში გამოს ცეს თავის მოქმედების სრულ ანგარიში საქართველოს გასაბ ჭოების დღიდან.

— **აქციზის დაკლება.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ შუამდგომ ლობა აღძრა ა. კ. უმაღ. ეკ საბჭოს წინაშე პურის სპირტზ აქციზის დაკლების შესახებ.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ნესტორ გიორგაძეს.** თქვენი წერილი 18 მარტის დღე სასწაულის შესახებ არ გამოდგა. სწერეთ ნაწილის ცხო ვრების შესახებ.

**ამხ. მურადოვს.** კორესპონდენცია მე 8-ვე ასეულის ცხოვ რებიდან გამოგადგებათ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. მორიელს.** „სად არის კეთილ სინდისიერება“ არ და ბეჭდება.

**ამხ. დევაძეს.** თქვენი კორესპონდენცია „ცენტრალურ ბიბ ლიოთეკაში“ არ დაიბეჭდება. ბიბლიოთეკის ცნობათ ყუთზე განცხადება ჯერ ქართულად არის გაკრული დ შემდეგ რუსულად. თქვენი ცნობა თითქოს მარტო რუ სულად იყოს, სიმართლეს არ შეეფერება.

**ამხ. მაღნარაძეს.** თქვენი წერილი „მესამე ლეგ. 2 კომუჯ რედის ცხოვრებიდან“ დაგვიანებულია.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## წიგნის და ბიბლიოთეკის კუთხე.

### მკითხველთა აზრების ჟურნალი.

(მკითხველის აზრი წაკითხულ წიგნზე).

**რატომ არის საჭირო ბიბლიოთეკაში მკითხველთა აზრების ჟურნალი.**

ნაწილის ბიბლიოთეკის მკითხველთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით წერა-კითხვის მცირე მცოდნემ, არ იცის წიგნის კითხვა. უმეტეს შემთხვევაში იგი მექანიკურად კითხულობს, არ უკვირდება წიგნის შინაარს. ასეთ კითხვას წითელ-არმიელისათვის თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ზოგიერთი ბიბლიოთეკარები კი ამ მოვლენას ანგარიშს არ უწევენ.

მკითხველმა რომ უკეთესად ჩაუკვირდეს წიგნს და შეითვისოს მისი შინაარსი, ამის საუკეთესო საშუალება არის ბიბლიოთეკაში მკითხველთა შეხედულების ჟურნალის შემოღება, რომელშიაც მკითხველებს შეაქვთ თავისი აზრი წაკითხულ წიგნზე.

წაკითხულ წიგნზე თავის აზრის გამოთქმის დროს, მკითხველი იძულებულია ჩაუკვირდეს წიგნის შინაარსს და მისცეს მას საჭირო შეფასება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მკითხველის მიერ წიგნის უკეთ შეთვისებას. თვითეულ ჩვენგანმა საკუთარ მაგალითით იცის, რომ მოთხრობილი და წერილობით გამოთქმული აზრი, ყოველთვის უფრო ადვილად იმახსოვრება.

მარტო ამ თვისებით არ ამოიწურება მკითხველთა შეხედულების ჟურნალის მნიშვნელობა. არა ნაკლებ საჭიროა ის ბიბ-მომუშავესათვის წიგნის და მკითხველის შესასწავლად.

ჟურნალის დახმარებით ბიბლიოთეკარს შეუძლია:

1. გაიცნოს ის წიგნი, რომელიც მას ჯერ არ წაუკითხავს.

2. გაიგოს როგორ მოსწონს და როგორ ითვისებს წითელარმიელი ამა თუ იმ წიგნს, როგორ მკითხველისთვის არის ეს წიგნი ვარგისი.

3. დაწვრილებით გაიცნოს მკითხველთა ინტერესები და მათი განვითარება.

როგორც ვხედავთ მკითხველთა შეხედულების ჟურნალს აქვს მრავალგვარი მნიშვნელობა. ცხადია, საჭიროა მისი ყველა ბიბლიოთეკებში შემოღება.

როგორ მოვაწყოთ მკითხველთა აზრის ჟურნალი?

ჟურნალის მომზადების ტექნიკა იმდენად მარტივია, რომ მისი შემოღება შეუძლია ასეულის ბიბლიოთეკასაც. გავაკეთოთ რვეული ერთ ხაზიან ქაღალდიდან, რომ მცირე მცოდნე წითელ-არმიელისთვის ადვილი იყოს მასში წერა. რვეული დიდი უნდა იყოს, რომ მეტი შეხედულება მოთავსდეს, რომელიც შემდეგ მკითხველმა უნდა წაიკითხოს. კარგია, რომ ჟურნალის ყდაზე დაიხატოს რაიმე შესაფერი სურათი, რომ ჟურნალმა გარეგნულადაც მიიპყროს მკითხველის ყურადღება. მაგალითად, შეიძლება წითელ-არმიელთა ჯგუფის დახატვა, რომელსაც თავი მოუყრია წიგნის გარშემო. სურათის ზემოდ ან ქვემოთ გარკვეულად და ლამაზად უნდა დაიწეროს: „მკითხველთა აზრი“—ჟურნალი შეხედულებისათვის წაკითხულ წიგნზე. სათაურის შემდეგ მოთავსდება მოკლე მიმართვა მკითხველისადმი, რომლითაც ბიბლიოთეკარი მოუწოდებს მას შეიტანოს ჟურნალში შეხედულება წაკითხულ წიგნზე და უხსნის ასეთი აზრის გამოთქმის მნიშვნელობას.

„ამხანაგო, როდესაც წაიკითხე წიგნი, გაუზიარე შენი აზრი მის შესახებ სხვა მკითხველებსაც, რომ მათაც წაიკითხონ იგი“.

წითელ-არმიელს რომ არ გაუძნელდეს თავის აზრის წერილობით გამოთქმა, შემდეგ გვერდზე ბიბლიოთეკარმა უნდა მოათავსოს დაახლოებით ასეთი განმარტება: „სანამ დაწერდე შენ შეხედულებას წაკითხულ წიგნზე, წაიკითხე თუ როგორ უნდა დაწერო იგი„—, რასაც თან მოსდევს გეგმა წაკითხულ წიგნზე აზრის შესადგენად. ასეულის ბიბლიოთეკაში ასეთი გეგმა რაც შეიძლება მარტივი უნდა იქნეს და სულ რამოდენიმე კითხვისაგან უნდა შედგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მცირედ განვითარებული მასში ვერ გაერკვევა და თავის აზრს წაკითხულ წიგნზე ვერ მოგვ ცემს.

მაგალითისათვის გეგმა ასე თი უნდა იყოს: 1. ავტორ (ვინ დაწერა წიგნი), 2. წიგ ნის სათაური, 3. რის შესახებ მოგვითხრობს წიგნი, 4. სწო რია თუ არა წიგნში გამოთქ მული აზრები (და რატომ), 5. რას გვასწავლის წიგნი, 6 რა ახალი ცოდნა შეგვძინ წიგნმა, 7. მოგეწონათ წიგნ თუ არა (რატომ?) 8. გასაგებად იყო დაწერილი? რა იყო გაუგე ბარი?

სასურველია, რომ წითელ არმიელმა, ჟურნალში წაკით ხულ წიგნზე აზრის ჩაწერი ქვემოდ მოათავსოს თავის გვარი.

როგორ მივიზიდოთ მკით ხველები ჟურნალში მონაწილე ობის მისაღებად? ამის შესახებ შემდეგ წერილში.

ე. მ—ვა.